საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 25,000 მ. სამგლოვიარო განცხადება 30,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 1000 მან.

შაბათი, დეკემბრის 31 1921 წ.

ყოველდღიური გაზეთი
ტრიბუნა
ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.
1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 45.000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 2000 მანეთი.
უფასოდ გაზეთი აღარავის გაეგზავნება.
ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან
რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

ხელოვნების სასახლე
სერგიევის ქუჩა № 13.
კვირას, იანვრის 1-ს
სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირი
მეოთხე ესთეტიური საღამო
გრიგოლ რობაქიძე
წაიკითხავს მოხსენებას:
„პერანგი გველის"
დასაწყისი საღამოს 7 საათზე.
დასწრება შეუძლია ყველას, შესვლა უფასოა. 401

## განცხადება

ს. ს. ს. რესპუბლიკის საბჭოების მომწვევი ცენტრალური საარჩევნო კომისია მოთავსებულია საქართველოს რევკომის სასახლეში, ოთახი № 22, ტელეფონი № 11—69. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 10-დან 2 საათამდე.

## ბრძოლის ახალი პერიოდი

საერთაშორისო ომის შემდეგ კაპიტალისტური სახელმწიფოები სხვა და სხვა გზით ცდილობდენ თავისი ეკონომიური ძლიერების აღდგენას და მით იმ პოლიტიკურ-ეკონომიური სისტემის გადარჩენას, რომელიც ასე მძლეთ იქნა შერყეული უკანასკნელი იმპერიალისტური ომის გამო. ერთი გზა თავიდანვე ცნობილია კაპიტალისტური წყობილების მაცოცხლებელ გზად:—გაძლიერება შრომის ექსპლოატაციისა იყო შედეგი ყოველი ეკონომიური კრიზისებისა, რომლითაც ხან-გამოშვებით ავადმყოფობდა ბურჟუაზიული მეურნეობა, განსაკუთრებით უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში. მაგრამ ომის შემდეგ შექმნილმა ბურჟუაზიული მრეწველობის კატასტროფამ და მისგან გამოწვეულმა ეკონომიურმა ანარქიამ საზღაპრო ხასიათის ფორმებში ჩამოასხა შრომის და კაპიტალის შორის წარმოებული ბრძოლა. მილიონები უმუშევარნი გადმოისროლა შიმშილის მოედანზე გასუქებულმა ამერიკა-ევროპის კაპიტალისტებმა და რამოდენიმე მილიონი პროლეტარი უცდის ჩონჩხიანი შიმშილის სასიკვდილო განაჩენს:—ამერიკაში უმუშევართა რაოდენობა 6—7-ს მილიონს აღწევს, ინგლისში—2 მილიონამდის; ასეთივე მაგალითებია საფრანგეთ-გერმანია-იტალიაში და ასე გაშინჯეთ ამხრით ერთ დროს კარგ პირობებში მყოფ შვეიცარიაშიაც.

უმუშევართა რიცხვის ზრდა ევროპა-ამერიკაში აძლევს კაპიტალისტური წყობილების ძირებს, რომ იგი შეიქმნა რეაქციონური მოვლენა და კაცობრიობის მსვლელობას აფერხებს, მის ბორბლის ტრიალს შემჩერებელს ჩხირად ედობება. ამერიკაში, სწორედ იქ, სადაც კაპიტალიზმმა დააგროვა უდიდესი მატერიალური სიმდიდრე, სწორედ იქ იჩინა თავი ეკონომიურმა კრიზისმა, კაპიტალიზმის ავადმყოფობამ და სწორედ ამის გამო იქ ყველაზე მეტი უმუშევართა ჯარი შეიქნა.

იყო დრო, როცა კაპიტალიზმის შექმნილი ღირებულებანი აუმჯობესებდა მუშათა კლასის მდგომარეობასაც, რადგა თქმა უნდა შედარებით; ეს დრო იყო, დრო მისი აყვავების და ფეოდალურ-კუსტარული მეურნეობის დამსხვრევა-განადგურებისა. მაგრამ ეს დრო წავიდა. საერთაშორისო ეკონომიური განვითარების კანონებმა ლოღიკურს წინააღმდეგობაში ჩააგდო კაპიტალისტური მეურნეობა. ერთი და იგივე მოვლენა უწინ და დღეს, დღევანდელს პირობებში ერთსა და იგივე შედეგებს არ იძლევა. კაპიტალიზმის პირველს ხანებში შექმნილი სიმდიდრე იმავე დროს ნიშნავდა შრომის ექსპლოატაციის შემსუბუქებასაც, შრომის პირობების გაუმჯობესებასაც. დღეს კი ჩვენ უყურებთ, რომ კაპიტალისტურს ქვეყნებში რამდენადაც მეტს სიმდიდრეს ქმნის გაქვავებული მუშა, იმდენად უფრო ძლიერად და ქარხნის გარეთ ისვრის იგი თავისსავე თავს. ამ ნიადაგზე დაიბადა 1917 წლის სოციალისტური რევოლუცია და კაპიტალიზმის ამ აღსასრული აფუძვლებს ემყარება რევოლუციონური მუშათა კლასის მოძრაობა რუსეთსა და ევროპა-ამერიკაშიაც.

მაგრამ ამ ბრძოლას რევოლუციასა და კონტრ-რევოლუციას შორის სხვა და სხვა საფეხურები და ხასიათებს. პირველ ხანაში მსოფლიო ბურჟუაზია მთელ თავის იმედს რევოლუციის უშუალო დამარცხებაზე ამყარებდა და მუშათა კლასის დამონების გაძლიერებით უნდოდა ეკონომიური კრიზისიდან თავის დაღწევა.

მაგრამ რამდენადაც თვითეული კაპიტალისტური სახელმწიფო რწმუნდებოდა ამ გზის ნაყოფიერებაში, რამდენადაც ეს საშუალება თავის დახსნისა იკვს ჰპოვებდა თვითეულს კაპიტალისტურს სახელმწიფოში, იმდენად უკანასკნელნი ერთი მეორეს ეწინააღმდეგებოდენ თუ ნადავლის გაყოფისა, თუ ახალი სიმდიდრის შეძენისათვის; იქნებოდა ახალი შესაძლოებანი ომებისა თვით კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის და თითქოს სუსტდებოდა გაერთიანებული ფრონტი მუშათა კლასის წინააღმდეგ რომ იყო მიმართული. კოლონიალური პოლიტიკა განსაკუთრებით შორეულ აღმოსავლეთის საკითხი, წყნარ ოკეანეზე ბატონობის სურვილების აღძვრელი შეიქმნა გამომწვევი მრავალი ტანჯვითი ფიქრებისა, რომლის დასკვნა ახალი საერთაშორისო ომის კვირიანტელს გულისხმობდა.

ამით აიხსნება ის პოლიტიკური ჰიპოთეზები, რომელიც წინ უსწრებდა ვაშინგტონის კონფერენციას: თვითეული კაპიტალისტური სახელმწიფო სხვის ხარჯზე ცარაუდობდა თავისი ეკონომიურ-პოლიტიკური ჰეგემონიის შექმნით მოეშუშებია ომისგან მიყენებული ჭრილობები. ამიტომ ვაშინგტონის კონფერენციის შედეგი ძალიან ბევრს დიდ ტანჯვა სახელმწიფოთა ომი ეგონათ; მაგრამ, როგორც ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები აღწევს ჩვენამდის, ახალი შეთანხმება და ახალი კომპრომისების გზით მიდიან ერთი მეორესთან დამოკიდებულებების დროს ანტანტის აქტიორები და ამით აშკარა ხდება, რომ ბურჟუაზიამ უარყო, რასაკვირველია დროებით, ომი ურთიერთშორის, მუშათა კლასის წინააღმდეგ ახალი ომის საწარმოებლად. ბურჟუაზია დაუბრუნდა პირველ თავის გზას:—აღადგინოს თავისი დაცემული ეკონომიური სისტემა მუშათა კლასის ექსპლოატაციის ანგარიშზე. აქედან ცხადია, რომ გაძლიერდება თავდასხმა რევოლუციისა და მუშათა კლასის დამცველი ძალის წინააღმდეგ ე. ი. გამონახული იქნება ახალი დ უშუალო საშუალებანი საბჭოთა რუსეთზე თავდასასხმელად. ისევ ინტერვენციისა და შავი ძალების წინაშე შეიძლება დასდგეს შეგნებული მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა მთელი საბჭოებისა, და ვინ იცის, იქნება დღევანდელი რთული საერთაშორისო მდგომარეობა საბჭოთა სახელმწიფოებისა უნდა უსწრებდეს წინ მათვე საბოლოვო პოლიტიკურ-ეკონომიურს უზრუნველყოფას! ყოველივეს მომავალი გვიჩვენებს, მხოლოდ ჩვენი რევოლუციონური ვალია გავურკვიოთ ყველას საბჭოების მშრომელ ხალხს მის წინააღმდეგ კაპიტალისტური მსუნაგების ბრძოლის ახალი პერიოდი და ვ-თქვათ ყველას გასაგონად: რევოლუციას დავიცავთ ალხასრულამდე!

ეფ. საჩინოელი.

## † დარო რჩეულიშვილი

26 დეკემბერს ქ. ტფილისში გარდაიცვალა და 29-ს დაასაფლავეს ცნობილი ქალი დარო რჩეულიშვილი.

დარო რჩეულიშვილი ძველი მსახიობი იყო და ეკუთვნოდა ლადო მესხიშვილის, კოტე მესხის, ს. სიმონიძის, ნებიერიძის, გალუსტოვის, თამაზაშვილის, ნატო გაბუნიას და სხვა ძველი მსახიობების კოლეგიას.

დ. რჩეულიშვილის დამახასიათებელი თვისება უმთავრესად ის იყო, რომ იგი არ იყო „დიდი განათლებული" ადამიანი, მაგრამ იგი იყო „ჩიქილოსანი" ქართველი მსახიობი ქალი, რომელსაც შეგნებული ჰქონდა ქართველი ხალხის და დემოკრატიის წმინდა სამსახური მთელი 35 წლის განმავლობაში.

დიაღ, დარო კულტუროსანი ადამიანი იყო, ვამბობთ კულტუროსანი, იმიტომ რომ რჩეულიშვილი „ჩიქილით" გამოვიდა ქართულ სცენაზე მაშინ, როდესაც ქართველი ქალის სცენაზე გამოსვლა „უზნეობად" ითვლებოდა ამ 30 წლის წინეთ.

დარო სულ მალე ჩამოშორდა ეგრედ წოდებულ „არისტოკრატიულ თეატრს" და მსახიობებს. ერთ ხანს ბათომის სცენაზედაც მსახურობდა ჩვენი დამსახურებულ მსახიობ ქალ მ. საფაროვ-აბაშიძესთან. ამის შემდეგ კი მთელი 20 წლის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ მას, როგორც პროვინციის, აგრეთვე ტფილისის ყოველ სახალხო თეატრების და მუშათა კლუბების სცენებზე.

დარო რჩეულიშვილი მსხვერპლი შეიქმნა იმ გულქვაობისა და უყურადღებობის, რომელსაც ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ მაგრად აქვს ფეხი მოკიდებული, საზოგადო მოღვაწეების და განსაკუთრებით მსახიობების მიმართ.

დიდი მატერიალური სივიწროვე: სიმშილი-სიცივე, სიტიტვლე, უფულობა, ავადმყოფობა და ზედ დართული უწმინდობა აი ხვედრი ყოველი სახალხო მუშაკისა და ამისავე მსხვერპლი შეიქნა უანგარო, ჩუმი დ თავ დადებული მუშაკი მსახიობი—ქალი დარო რჩეულიშვილი.

ასეთი დამსახურება მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს თანამედროვე ქართველი მსახიობ ქალებისა.

დაროს სიკვდილი დიდი დანაკლისია ტფილისის სახალხო თეატრის სცენებისათვის. ამ დანაკლისს ჭეშმარიტად იგრძნობს ქალაქის განაპირა უბნების თეატრები.

ნატო გაბუნიას შემდეგ—განმსახიერებელი იყო და მოხდენილად თამაშობდა დარო რჩეულიშვილი ნატოს ამპლუას როლებს.

„ხანუმას", მელანიას „მელანიას ოინებში", ლეკის ქალს „გულჯავარში", ფროშარს „ორი ობოლში". ქიჩქინეს „ქორიოდლში", ელისაბედს „ზიაყუშში" და მრავალ სხვა როლებს. ჩვენ ვამბობთ ამ ამპლუას როლების აღმსრულებელ მსახიობ ქალის დაკარგვა—დიდ დაბრკოლებას ჰქმნის მუშათა უბნის თეატრებში.

მაშ გაუმარჯოს ძველ და დაღლილ მსახიობებს.

ამხანაგო დარო! თქვენი თავდადებული სამსახური მუშათა თეატრებში—მუშა მსახიობ—ამხანაგებში ხსოვნიდან წაუშლელი დარჩება.

სცენისმოყვარე დ. მელაშვილი.

## მოწოდება

1922 წლის იანვარში ნახევარი საუკუნე შესრულდება, რაც ქართულ სასცენო ხელოვნების განთიადზე დაენთო ერთი მოელვარე ვარსკვლავი. ეს ვარსკვლავი ვასო აბაშიძე იყო.

იმ დღიდან ამ დღემდე ვასო აბაშიძე და ქართული სცენა შესისხლხორცებულნი არიან და ერთმანეთს ამშვენებენ.

აღწერა მისი დამსახურებისა სამშობლოს წინაშე—ქართული თეატრის აღორძინებისა და განვითარების ისტორიის აღწერას ჰგავს.

ამის გამო, ამ მოკლე მიმართვაში ზედმეტად მიგვაჩნია ამ უებრო ხელოვანისა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის დახასიათება.

აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იგი ქართული სასცენო ხელოვნების ცხოველმყოფელია, რომელსაც არა შენივთებულის, მაგრამ წარუშლელი ასოებით აწერია: „მშვენიერება ვიყავ, მშვენიერებას ვქმნიდი, მშვენიერებას გიანდერძებთ!".

და აი, ამ დიდი ადამიანის დღეწლის აღსანიშნავად შესდგა განსაკუთრებული კომიტეტი—სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით და განათლების სახალხო კომისრის თავმჯდომარეობით.

კომიტეტმა გადასწყვიტა:

მოწყობილ იქნეს ვასო აბაშიძის ორმოცდაათი წლის მოღვაწეობის იუბილე.

იუბილე დანიშნულია 1922 წლის იანვრის 15-ს ტფილისში, შოთა რუსთაველის თეატრში.

იუბილეს დაწვრილებითი პროგრამა ცალკე იქნება გამოცხადებული.

გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ კეთილ ინებოთ და მონაწილეობა მიიღოთ ამ ეროვნულ დღესასწაულში და აცნობოთ წინასწარ შეთავაზებით კომიტეტს—რა სახითაც გამოიხატება თქვენი მონაწილეობა.

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე დ. კანდელაკი.

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი: კონ. ანდრონიკაშვილი.

კომიტეტის ხაზინადარი: ი. ზარდალიშვილი.

კომიტეტის მდივანი: გ. ჯიქია.

1921 წ. დეკემბერი.

ტფილისი.

რუსთაველის თეატრი.

## ახალი ამბები

— 1 იანვრიდან კვირაობით განზრახულია მოაწყონ იაფ-ფასიანი დილის წარმოდგენები. პირველ ასეთს წარმოდგენათ დაიდგმება ოპერა „დემონი".

— საშობაო დღესასწაულებში ც. რ. კლუბში მოეწყობა დილის წარმოდგენა და გრანდიოზული შობის ხე ბავშვებისათვის საჩუქრებით.

გრიგოლ ცეცხლაძის საღამო. ორშაბათს 2 იანვარს პოეტი გრიგოლ ცეცხლაძე გამართავს 1-ლ კონსერვატორიაში, საღამოს. შინაარსით: სიტყვები—პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ლექსთა თქმა—გაფრინდაშვილი ვალერიან, გვეტაძე რაჟდენ, გოგობია რაჟდ, იაშვილი პაოლო, კარმელი შალვა, ლეონიძე გიორგი, მიწიშვილი ნიკოლოზ, ნადირაძე კოლაუ, ტაბიძე ტიციან, ცეცხლაძე გრიგოლ; საკონცერტო განყოფილება—მოსკოვის დიდი სახელმწიფო თეატრის არტისტის ვ. შარაშიძის და ცნობილი სახელმწიფო ოპერის არტისტის—ინაშვილის მონაწილეობით.

## უცხოეთი

პარიზი. 27 დეკ. „ჰავასის" სააგენტო იუწყება, რომ ყველა ცნობანი, რომელიც შეიჭრა ევროპიელ პრესაში, თითქო კრასინისა და საფრანგეთის მთავრობის შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ, სიმართლეს მოკლებულია.

რომი. 27 დეკ. დეპუტატმა პალატაში კლოტცის შეკითხვაზე შესახებ ლონდონის თათბირის შედეგისა, ბრიანმა უარყო ის ცნობა, თითქოს საფრანგეთს უარეყოს ვერსალის ხელშეკრულების გარანტია. ლლოიდ-ჯორჯმა დასტური მისცა, რომ საფრანგეთი იმყოფება განსაკუთრებულ პირობებში და რომ მას ამ ჟამათ არ შეეძლება უარყოს არც ვერსალის ხელშეკრულება და აღნიშნულ დროის შემოტანა გერმანიის მიერ კონტრიბუციისა.

ბორდო. 27 დეკ. ბრიანმა მიიღო საფრანგეთის დელეგაციის თავმჯდომარე საკონტრიბუციო კომისიისა, დელეგაციის თავმჯდომარე დიურკამ დაწვრილებით გააცნო ბრიანს საფრანგეთის მდგომარეობა და ეჭვი გამოსთქვა იმის შესახებ, რომ გერმანიამ გადაიხადოს 15 იანვრისათვის შეწერილი გადასახადი.

რომი. 27 დეკ. საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საკითხის შესახებ, რომელსაც თავის ამოცანათ დაუსახავს განხილვა შუამავლობის პირობებისა ბერძენ ოსმალთა კონფლიქტის შესახებ დანიშნულია პარიზში 3 იანვარს.

რომი. 27 დეკ. ქაიროში კვლავ არეულობამ იფეთქა. მოხდა თავდასხმა ინგლისელების ჯგუფზე. გამოწვეული იყო პოლიცია. ორი ინგლისელი მოკლულია დაჭრილია მრავალი.

ბერლინი. 27 დეკ. „შეიარაღებული ჯგუფი 24 დეკემბერს დაესხა სატუსაღოს გრონსტენში (ზემო სილეზია) და დაეხმარა გაქცევაში 25 ტუსაღს. აღნიშნულია გაქცევა მაიორ მონტენეგროს მკვლელისა.

პარიზი. 27 დეკ. ჟურნალი „დღეება" იუწყება: რომ საბერძნეთის შინაგანი მდგომარეობა დიდათ დიდ სერიოზული ხდება. მთავრობა არავითარ ზომებს არ ღებულობს. პოლიტიკურ საქმეში უდიდეს მონაწილეობას ღებულობს ჯარი, რომელშიაც შემჩნეულია ორი მიმდინარეობა: სმირნის არმია მოითხოვს უმაღლესი კომისრის ადგილი მიენიჭოს საბერძნეთში და მცირე აზიაში სტერგიადის. მეორე ნაწილის ჯარისას მხარს უჭერს ათენის პოლიტიკური წრეები და ეწინააღმდეგება პირველ მიმდინარეობას. ვენიზელოსის გავლენა ჯარში ძლიერდება და ამავე დროს ძლიერდება მტრული განწყობილება მეფე კონსტანტინესადმი.

ლონდონი, 18 დეკემ. „ვესტმინსტერის" გაზეთი უძლვნის სპეც ალურ სტატიას საბჭოთა რუსეთის ცნობის საკითხს. სტატიის ავტორი მარშალი აღნიშნავს, რომ რუსეთი წარმოადგენს არა მარტო უდიდეს ბაზარს, აგრეთვე ქვეყნას, რომელიც ღირსია ფართო კრედიტისა. სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენა რუსეთთან უდრის უმუშევართა საკითხის გადაჭრას ევროპისათვის. ამისათვის საჭიროა, რომ იმ სახელმწიფოებმა, რომელთაც სურს დაიჭირონ რუსეთთან ვაჭრობა, მიაწოდონ მას სხვილი კრედიტი.

ამისათვის საჭიროა სახელმწიფოების მოქმედების შეთანხმება. მსოფლიო ფი-

ნანსიური საკითხის ალდგენა უნდა დაიწყოს რუსეთიდან, ვინაიდან რუსეთი წარმოადგენს ისეთს ბაზარს, რომლის დასაპყრობად ევროპიელ სახელმწიფოებს ჩვენი არ უნდა მოსწყინდეთ, რადგან იქ ყველასათვის საკმარი ადგილი იქნება.

**ლონდონი**, 19 დეკ. „ჩიკაგო ტრიბუნა“ სწერს: რომ ამერიკას, რუსეთს და ჩინეთს შეუძლია დასდოს ხელშეკრულება წინააღმდეგ ინგლისის და იაპონიის ინტერესებისა შორეულ აღმოსავლეთში.

## საქართველოს რევკომის საინფორმაციო განყოფილების ცნობები.

**ქუთაისის სამაზრო რევკომის მოღვაწეობა.**

10 მარტს 1921 წელს იმ დროს, როდესაც ქუთაისში შემოვიდა წითელი ლაშქარი, მყისვე შექმნილ იქნა საგუბერნიო რევოლიუციონური კომიტეტი. შეგნებულ წითელ არმიის და რევოლიუციონურად განწყობილ მშრომელთა მასსების დახმარებით, ქუთაისის ჯერ საგუბერნიო და შემდეგ სამაზრო რევკომმა სულ მოკლე დროში შესძლო ნორმალური პირობების შექმნა. აპრილის შუა რიცხვებში უკვე მოწყობილ იყო მთელ მაზრაში რევოლიუციონური დროის მიხედვით საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები. ამ ჟამად მთელი მაზრა დაყოფილია ექვს ადმინისტრატიულ რაიონად და 47 თემად, სადაც არსებობს რევოლიუციონური კომიტეტი. მუშაობა ყველა თემებში ნაყოფიერია, სულ 10 მარტიდან 15 ნოემბრამდე შემოსულია 5000 განცხადება. ამ რიცხვში მცირეოდენი ეკუთნის ადგილობრივ რევკომების უკანონო მოქმედებას. 3—4 თვის წინათ საჩივრების უმრავლესობა ეხებოდა მიწის საკითხს. ამ ჟამად ასეთი განცხადებები მცირეა. ადგილობრივ ორგანოების შენახვის და მიმდინარე ხარჯების დასაფარავად თემებს გახსნილი აქვთ კრედიტი, რომელიც აღემატება 200,000,000 მანეთს. ამ შვიდი თვის განმავლობაში ქ. ქუთაისში აღნუსხულია სულ 108 დაბადებული, 187 გარდაცვლილი, 77 დაქორწინებული და 34 განქორწინებული. თითქმის ასეთივე სურათია მაზრაშიაც. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში მაზრაში ბოროტ-მოქმედებას ჰქონდა ადგილი შემდეგი სახის და რიცხვით: გაძარცვა—27, რომლიდანაც 19 არ არის გამორკვეული, მკვლელობა—14, საქონლის ქურდობა—3, ქურდობა გატეხით—13. მოსამსახურეთა შორის ბოროტმოქმედება თან და თან მცირდება.

**ეკონომიური დარგი.**

ადგილობრივი წარმოების ნაციონალიზაციამ ვერ გამოიღო ნაყოფი, რადგან ნორჩი სახელმწიფო გამოფიტული წარმოების მართვა-გამგეობაში და მოკლებული საჭირო საწარმოვო იარაღებს და ნედლ მასალას იძულებული იყო განეცადა დეფიციტი. ახალი ეკონომიური კურსის მიხედვით მოხდა ზოგიერთი წარმოების დენაციონალიზაცია. ამ მოსაზრების გამო დაბრუნებულ იქმნა ორი სახერხი ქარხანა, საზოგადოების „მრეწველის“ ქარხანა, ზეთის გამოსახდელი ქარხანა. ამასთანავე იჯარით გაცემულია სამი ტყავის ქარხანა. ამ ჟამად გაერთიანებული ეკონომიური განყოფილების ხელში იმყოფება სულ სხვა და სხვა დარგის წარმოებანი რიცხვით 24: ერთი თამბაქოს ფაბრიკა (ყოფილი ფირალოვისა), ერთი საპნის ქარხანა, რომელსაც შეუძლიან ამ ახლო მომავალში დაამზადოს 1800 ფ. საპონი, საქსოვი სახელოსნო, რომელმაც რვა თვის განმავლობაში დაამზადა 870 არშ. ქამანდლის დაქსოვილი მატერია. აღნიშნულ ხახელოსნოში მუშაობა დღეს სწარმოებს სასურველად სპეციალისტთა უყოლობის გამო ხუთი სტამბა, რომლის გაერთიანება განზრახულია ორად, სამი წისქვილი, ორი ელექტრონის ძალით მომძრავი, ერთი ნავთის მანქანით. ერთი სასკლაო ქუთაისში, ერთი ხონში და ერთი სამტრედიაში. ერთი ყინულის ქარხანა, რომელიც ვერ მოქმედებს აუცილებელ ამიაკის უქონლობის გამო, ორი აბანო, ორი ელექტრონის სადგური, ერთი საავტომობილო გარაჟი, ერთი სანზენიზაციო ქარავანი, ერთი ავტოცისტერნა, ერთი ბორანი ქუთაისში, ერთი წყლის საქაჩავი, რომელიც ყოველდღიურად ქუთაისის გამაფორიებელ, სახლებს და სამხედრო ხაწილებს აწოდებს 25,000 ვედრო წყალს. დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა ქუთაისის პირველ საბჭოთა თამბაქოს ფაბრიკას დამზადებული აქვს სხვა და სხვა ხარისხის პაპიროსი 3,500,000 ცალი და თამბაქო № 5—97 ფუთი და 33 გირვანქა, № 30—450 ფუთი და 24 გირვ. და № 1—18 გირვანქა, ფურცლოვანი თამბაქო კი მას აქვს 200 ფუთამდე.

## დადგენილება №118

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა საცხოვრებელი მინიმუმის გადიდების შესახებ პროგრესიული საშემოსავლო ხარკისათვის.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლ. ივლისის 26 თარიღისა და 61 №-ის დეკრეტის მე-II ნაწილის მე-2 და მე-9 მუხ. (მუხ. 44 საშემოსავლო ხარკის (ნალოგ) დებულებისა) შესაცვლელად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ყველა წყაროს შემოსავალი, რომლის რაოდენობა არ აღემატება ცხრა მილიონ (9.000.000) მანეთს, განთავისუფლებულ იქნეს საშემოსავლო ხარკის დაბეგვრისაგან. თუ აღნიშნული შემოსავალი ზემოხსენებულ თანხას აღემატება, იგი უნდა დაიბეგროს 61 №-ის დეკრეტით დამტკიცებულ ნუსხის მიხედვით.

2. სახელმწიფო საშემოსავლო ხარკის დებულების 45 მუხ. წესით გადასახადის შემცირების უფლება მიეცეს მხოლოდ იმ გადამხდელს, რომლის ხარკ-დასადები წლიური შემოსავალი არ აღემატება ოცდა თექვსმეტ მილიონ (36.000.000) მანეთს; ხოლო 46 მუხ. თანახმად, ესევე უფლება მიეცეს იმ გადამხდელს, რომლის ხარკ-დასადები წლიური შემოსავალი არ აღემატება ორმოცდა თოთხმეტ მილიონ (54.000.000) მანეთს.

3. ამ დადგენილების მოქმედება გავრცელებულ იქნეს 1921 საგადასახადო წლის გადასახადზედაც.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ქავთარაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **სვანიძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1921 წლ. დეკემბრის 26.

ტფილისი—სასახლე.

## დადგენილება № 117

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს წითელი არმიის სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა ქვემდებარეობის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური ტრიბუნალების რეორგანიზაციამდე,—დაექვემდებაროს საქართველოს უზენაეს რევოლიუციონურ ტრიბუნალს საქმეები საქართველოს წითელ-არმიის სამხედრო მოსამსახურეთა, რომელთაც ბრალდებათ:

ა) კონტრ-რევოლიუციური მოქმედება, როგორიც არის მაგალითად: შეთქმულება, აჯანყება, ტერორისტული აქტი, დარბევა, ჯაშუშობა, სახელმწიფოებრივი ღალატი, აგრეთვე სხვა რამ, რაც საქართველოს საბჭოთა წყობილებისათვის აშკარა საფრთხეს წარმოადგენს.

ბ) მოქმედება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას აშკარად ნდობას უკარგავს.

გ) თანამდებობითი მძიმე დანაშაული, როგორიც არის მაგალითად: საბოტაჟი, მექრთამეობა, სამსახურებრივი სიყალბის ჩადენა, მითვისება და გაფლანგვა, აგრეთვე ხელისუფლების გადამეტება ან უმოქმედობა, რასაც შეიძლება მოჰყვეს განსაკუთრებულად მავნე შედეგი.

დ) მსხვილი სპეკულიაცია.

ე) დეზერტირობა, აგრეთვე დეზერტირებისათვის ხელის შეწყობა და მათი წაქეზება თუ დაფარვა, რამდენადაც სადეზერტირო კომისიების დასკვნით ეს საქმეები მათ კომპეტენციას აღემატება.

და ვ) საომარ ბრძანებათა აუსრულებლობა და სხვა სპეციალური სამხედრო დანაშაული.

2. ყველა დანარჩენი საქმე საქართველოს წითელ-არმიის სამხედრო მოსამსახურეთა შესახებ ექვემდებარება საქართველოს სახალხო სასამართლოს.

3. თუ დანაშაული საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენილი, როგორც საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეთა, აგრეთვე საქართველოს საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა მიერ არა საქართველოს საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა თანამონაწილეობით,—საქმე, როგორც პირველთა—ისევე მეორეთა შესახებ განუყოფლივ განიხილება საქართველოს უზენაესს რევოლიუციონური ტრიბუნალის ან სახალხო სასამართლოს [illegible] მდებარეობისამებრ.

4. დადგენილება [illegible] დის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქარ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ქავთარაძე**

იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილე **ბროდსკი.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 25.

ტფილისი — სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ხამომცემელი— მთავარი კომიტეტი.


**დაჰკარგე** პასპორტი სტეფანე კარაპეტის ძე მუნიათიანმა, მიღებული მოსკოვში 1907 წ. ოქტომბერს, (უვადო), მე-2 უბნის ბოქაულის ტვერის ნაწილიდან. ჩაითვალოს გაუქმებულად. 168

**დაჰკარგე** სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ჩემზე გაცემული პირადობის მოწმობა, რომელსაც დღეის რიცხვიდან ვთვლი გაუქმებულად.

არჩილ მოდებაძე. 167

**დაჰკარგე** პირადობის მოწმობა გაცემული სახელმწიფო უნივერსიტეტის დავით მიტროფანეს ძე მაჭარაძის გთხოვთ ჩაითვალოს უქარგისათ. 166

ამხ. „სორაპანის“ გამოცემა.

გამოვიდა გასასყიდათ

**მოძრავი კალანდარი 1922 წ.**

გადაკეთებული ძველი კალენდრიდან შედგენილი მ. გარეჩილაძის მიერ.

ისყიდება ტფილისში, წერა-კითხვის წიგნის მაღაზიაში, სოსიკო მერკვილაძის და სილიბისტრო თავართქილაძის მაღაზიებში.

ექიმი

**ნ. ა. არუთინოვა**

განაახლა მიღება

სპეციალურად სიფილისი, სუსუნატი და მისი შედეგები; სქესობრივი დაუძლურება. მიღება საღამოს 4—7 საათ. სოლოლაკი. ცეცხლმქრ. რაზმის უკ. ნ. ახალბებუთოვის ქ. № 5. (Новобебутовская). 152.


# გამორჩენილი და დავიწყებული

(მწერალი მელანია ბადრიძე *)

(გაგრძელება.)

ასეთი შორეული ამბების ხელშესახები წარმოდგენა მხოლოდ ისეთ ადამიანებს შეუძლიანთ, რომელთაც გონებრივის განვითარებასთან ერთად, ეფექტიური შეთვისების უნარიც შესწევთ. ასეთი განცდა მხოლოდ საგანგებოდ ძლიერი ფანტაზიის საშუალებით შეიძლება, რომელიც იდეა-სახეებს აძლევს გრძნობის რელიეფებს, და იმდენად დრამა არის მელანია ბადრიძის მიერ შორი წარსულის შეთვისება, რომ ფანტაზია აზრსაც იმორჩილებს და ექვს უბადავს, იქნებ სიკვდილი არც კი არსებობს. იქნებ არ არსებობს არც დაბადება, და მხოლოდ სახეთა ცვლის გამოუცნობი პროცესის ეტაპებს ვუწოდებთ დაბადება-სიკვდილსო. მას თითქმის სჯერა კიდეც ქართულ ერის სიმართლე, რომელიც ცხედარს „მკვდარს კი არა, მიცვალებულს“ ეძახის. „გარდაცვლა“, ე. ი. სახის შეცვლაო. პირდაპირ საოცარია ამ უგზოო ქალის გონების ასეთი გამახვილება. თავისთავად ცნებათა ანალიზია ეს, მხოლოდ განვითარებულ ინტელექტს შეუძლიან. რისთვის სჭირდება ეს ანალიზი? თითქოს იმ ირრაციონალიზმის გასამართლებლად, რომელიც მას დაჰპატრონებია. სულთა გარდაცვლა თუ გადასახლება, ეს მიმზიდველობა დაკარგული მოძღვრებაა, რომელმაც დანიის პრინცს ათქმევინა მწარედ, რომ მაკედონელ ალექსანდრეს ნეშტს გობისთვის ხმარობენ საწებლადო.

თითქოს პლატონის შორეული გამოძახილიც ისმის. ხომ მან დაუდო სათავე სულთა გადასახლებას. ადამიანის სული თავისი არსებით ქვეყნიურ სულის თანაგვარია, რომლისაგანაც იგი წარმოიშვის. იგი შეკავშირებულია რა სიცოცხლის იდეასთან განუყრელად, იმყოფება დასაბამის და დასასრულის გარეშე. ზეციდან ქვეყნიურ სხეულში გარდმოსული, სიკვდილის შემდეგ კვლავ უბრუნდება ზეცას... ჩვენი სული უწინდელ სიცოცხლის დროის სჭვრეტდა იდეებს, რომელიც იგონებს მათ გრძნობიერ განსახიერების დროს... და სხ... რასაც იგი ანვითარებს მრავალ მითიურ სახეებით... ჩვენს მწერლობაში ამ მოძღვრებას ვასილ ბარნოვი ჰყავს განმასახიერებლად, მსოფლიო ლიტერატურაში კი იმდენი ვარიაციებით არის იგი ნახმარი, რომ უკვე დაჰკარგა ინტელიგენტ ადამიანისათვის თავისი მიმზიდველობა. მაგრამ არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც ამ იდეის კვლავ გაცოცხლება გიხიდავს. მაგ. ამ უკანასკნელ ხანებში, შვედი მწერალი ქალი სელმა ლაგერლეფი, თითქმის ყველა თავის მოთხრობაში სულთა გადასახლებაზე და მოგზაურობაზე ჩვენდება. მაგრამ იმდენია მის განცდებში სიმართლე და სიწმინდე, რომ გხიბლავს და გიმორჩილებს. ასევე გვისყიდის თავისი ბუნების სიმართლით და სიწრფელით მელანია ბადრიძე. და მით უმეტეს, რომ იგი არ არის წიგნით სნეული, მას არსად წაუკითხავს პლატონის ფილოსოფია, იქნებ გაგებულიც არ ჰქონდა, მაგრამ საკუთარი განცდის სიღრმემ და მსოფლიოს დაკვირვებულმა ჭვრეტამ იმ გზაზე დააყენა, რომლითაც პლატონი ეზიარებოდა მსოფლიო სულს და მასთან გავშირებდა ყოველივე ცოცხალს და მოძრავს.

***

საინტერესოა მელანია ბადრიძის ერუდიციაც. იგი მეამიტად ჩამოსთვლის იმ ქართულ და რუსულ წ. ნებს, რომელნიც წაუკითხავს. რასაკვირველია, თანამედროვე თვალსაზრისით, ბევრი ისეთი წიგნია იმ ნუსხაში, რომ წაკითხვადაც არ ჰღირდა, მაგრამ იმ დროინდელ ლიტერატურის ბაზარზე ეს წიგნები იყო გამოტანილი, და მელანიაც რასაკვირველია ამ ბაზარს ვერსად წაუვიდოდა. ან რა არჩევანზე შეიძლება საუბარი? იქნებ ამ წიგნების მადლიერნიც უნდა ვიყვეთ, რომ დარბილებულ გრძნობიარეობით, ხშირად ყალბი, მაგრამ გულის-მჭკენ გამოსავალებით, და სენტიმენტალ პოპულიარულ ხასიათით დაინტერესეს მელანია, და აღუძრეს წიგნისადმი დიდი სიყვარული. იქნებ წაკითხულ ავტორებმა მიბაძვის ჟინიც აღუძრეს, რომ ასე თავგადაკვლით აოცნებდა მწერლის კარიერისათვის. იქნებ კი არა, ასეც იყო, მაგრამ ამის შესახებ ცოტა ქვემოდ მოგახსენებთ.

როგორც ვიცით, მელანია ბადრიძე წიგნებს უსისტემოდ კითხულობდა. აი ის თან მიმყოლობა, როგორც მას უკითხავს:

1) ჯერ დაბადება, შემდეგ სახარება,3) წიგნი ადამის პირველ გრძნობათა შესახებ; 4) ალექსი ბატონიშვილის ცხოვრება; 6) დავითის ფსალმუნები, 7) „ქართული რომანი“ აბესალომ და ეთერი, 8) მოთხრობა ბიბიკა (ნათარგმნი), 9) ქართული რომანი მირიანი, 10) ვეფხის ტყაოსანი, 11) ქართული ნათარგმნი ენციკლოპედია, 12) ყარამანიანი, 13) მილორდიანი, 14) ლეილ-მეჯნუნიანი, 15) დევრიშიანი, 16) სიბრძნე სიცრუე, 17) იოსებ მშვენიერის ისტორია,

„ამ უკანასკნელ წიგნით, რომლითაც მახსოვს გათავდა ჩემ მიერ ქართული წიგნების კითხვა. ამ დროს მე შემისრულდა 18 წელი“-ო.

იმ დროინდელ 18 წლის ქალისათვის, რომელიც თვით იკვლევდა ცოდნის გზას, და იმ პირობებში, რომელიც უკვე მოვიხსენიეთ, ეს წაკითხულ წიგნთა კატალოგი არამც თუ მცირე, დიდიც არის. მით უმეტეს, რომ ეს უბრალო კითხვა კი არ იყო, არამედ დაკვირებული შესწავლა, რაც სჩანს იმავე ავტობიოგრაფიიდან, სადაც ყველა წიგნს დართული აქვს მოკლე შეფასება და მომქმედ გმირთა ანალიზი. ამნაირად იშვიათად ჰკითხულობენ წიგნს.

რუსულად:

1) რომანი ასკანიო? 2) ბარონ ბრამბეუსის თხზულებანი, 3) ფრანგულიდან ნათარგმნი პოლ მონტისა, 4) რუსული რომანი გმირობა და სიყვარული, 5) დიუმას რომანი გრაფი მონტე-კრისტო, 6) სიამაყე ერთი მომაკვდინებელ ცოდვათაგანია, 7) ფრა დიავოლო (რომანი) 8) რუსული რომანი ჩერნეცი, 9) რომანი წეროების ბუდე, 10) ყინულის სახლი, 11) დონ კიხოტი, 12) რომანი „ვერნიკა“, 13) რომანი „არიოლინი“, 14) მოთხრობა კონსტანცი კანტარინი, 15) მარადი ებრაელი—რომანი, 16) ვაი ჭკუისაგან, 17) დივნის მოგზაურობა (სათეატრო პიესა), 18) პიესა დეზელა, 19) შვედი ქალის, ფრედერიკა ბრემერის რომანი ოჯახი, 20) ვექფილდის მოძღვარი, და როგორც თვით ამბობს „მრავალი წერილები „Отеч. за пис“-ში, გაზეთებში და საბავშვო ჟურნალებში“...

იმ დროინდელ რუსულ ლიტერატურისთვის, ჩამოთვლილი წიგნებიც სრულიად საკმარისია. და აი ამ წაკითხულ წიგნებმა მასში ასეთი მოსაზრება გამოიწვია: — „ალბად ყოველივე მათგანი (ავტორი) საკუთარ განცდებს და შთაბეჭდილებებს აძლევდა ძალიან მოხერხებით, და ასე მივიდა ავტორის სახელამდე. რატომ ეს მე შეიძლებოდა მომხდარიყო ჩემზედაც? რატომ არ უნდა ვცადო ჩემი ძალა? ვნახავ [illegible] რას გავაკეთებ“-ო.

„ლიადი“, და ასე თითქმის გონების თვალ-დახუჭული, შეებით იკვლევდა გზას იმ შემოქმედების, რომელიც მას სტაცჯავდა თავისი სიამელით. ეძებდა ოღდაც გახდეს, რომ გაეგო სავალი, რომ ყოველ ნაწილად ის უსახელოთა და უსახელოთა სამწყსოში, მას პირიქით ჰქონდა აქვს საფლავის ლოდით. ასეთია შემოქმედების ტკივილი. და მაინც კიდეც სცადა გზას. ეს იყო პირველი განცდები. მას უნდა ლამაზი ფორმა ეძებნა ამ განცდებისათვის, და თუ შესძლებდა, ეს იქნებოდა თავდები მწერლის სახელის დამკვიდრებისა, რომ თანამედროვე მწერლობა ამ გზით მიეღოთ. დღეს ჩემ ყველაზე დიდ დარგად ლირიკა არის გამოცხადებული და მელანიას წიგნი საკუთარ თავზე, ეს ლირიკაა უსათუოდ. ეს ინტიმობის ეცდენის კადამელამ და ამ ინტიმაციისთვის საჭიროს ძიებაში—მისი გზებით ლიტერატურის სტიმული. აქ მივიდა იგი საკუთარ დაკვირვებით. რასაკვირველია ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი მატერიალური ნაწერები, ამ ადსარების გარდა, მაგრამ ჯერ მათი აღმოჩენა გაძნელებულია, გარდა ერთი მოთხრობის ნაწილისა, რომლის მიხედვით ძნელია რაიმე გარკვეული სიტყვის თქმა.

**გახტანგ კოტეტიშვილი.**

(გაგრძელება იქნება).

*) იხ. „ტრიბუნა“ № 111.